საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 19

2022 წლის 31 მარტი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

2. განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიქვაძე